72
56

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლილა

„ბუკეტი, ტურფა ქვეყანა,
ილსინე, ივერო ძმარო,
და მენც, ქართველნო, სწავლითა
ხამოსალო გაახარეო!“

№ 4

საკავშირო ლენინური კომუნისტური
ახალგაზრდა კავშირის ცენტრალური კომიტეტის
ბავშვთა მკითხველებისათვის

აპრილი
1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლენინი

— სწავლა, სწავლა და კვლავ სწავლა!—
ლენინმა გვითხრა პატარებს.
მშობლის ამ რჩევას, ამ სიტყვებს
გულში სათუთად ვატარებთ.

— გვიყვარდეს დედა სამშობლო,
მარად მის სახელს ვფიცავდეთ! —
ლენინის ანდერძს, ამ სიტყვებს
დავიწერთ გულის ფიცარზე.

მავზოლეუმში ისვენებს
ლენინი — ხალხთა გენია,
მაგრამ ლენინის აზრები
მსოფლიოს გადაჰფენია.

ლენინმა მთელი სიცოცხლე
ხალხისთვის ზრუნვას შესწირა.
მტერი ვერაფერს აკლებდა,
სიმართლის დროშა ეჭირა.

მან მზე მოჰფინა ქვეყანას,
მზე მარად ჩაუქრობელი,
აი, რად გვიყვარს ლენინი,
ჩვენი ძვირფასი მშობელი.

იოსებ ნონეშვილი

ნახატი **გ. როინიშვილისა**



ვ. ი. ლენინი საბავშვო სახლის აღსაზრდელებთან

ნახატი ნ. ჟუკოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა
მ.ბ.ალმას სახ. სოქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალია

ბ. ეფეფლიანოვი

ნახატები ო. ჯიფკარიანისა
და ლ. ლენდუალი

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს ძლიერ უყვარდა ბუნება. მას შეეძლო დიდხანს ეცქირა ტყის ყვავილებისათვის, არეის ხეებისა და მწვანე, ქოჩორა ნაძვებისათვის. თან კარგი მონადირეც იყო.

ლენინს ტყეშიც უყვარდა სიარული, ჩუმად და დიდხნობით. მაგრამ არ უყვარდა მოწყვეტილი ყვავილები და უაზროდ, გართობისათვის მოჩხილი ხეები. ყვავილები და ხეები მას ერჩივნა ცოცხლები ენახა, ბუნების წიაღში. იგი ყოველთვის ზრუნავდა ჩვენი სამშობლოს ტყეებსა და ბაღებზე.

კრემლში, ლენინის კაბინეტის ფანჯარასთან, მწვანე კახრში იზრდებოდა ერთი ხალმა. ლენინთან საქმეებზე ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი დადიოდა. წინათ ისინი კარგა ხანს ცხოვრობდნენ ერთად იტალიაში, კუნძულ კაპრზე, სადაც ასეთივე ხალმები ხარობდა. ჰოდა, ახლა ლენინი ყოველთვის უჩვენებდა თავის ხალმას და ეკითხებოდა:

— გახსოვთ, როგორი ხალმები იყო თქვენს ბაღში?

გორკიც თავისი ბოხი ხმით უპასუხებდა „მახსოვსო.“ — მეც მახსოვს, — იტყოდა ლენინი, — ხალმებიც მახსოვს, ზღვაც მახსოვსო.

ლენინი მაშინ გაატფორებით ებრძოდა ავადმყოფობას და უკანასკნელ ძალას იკრებდა მუშაობისათვის. აბა, სად ექნებოდა დრო — ეფიქრა და ეზრუნა რომელიღაც ხატარა ხეზე!

მაგრამ ლენინის დიდ, ადამიანურ გულში თურმე მაინც რჩებოდა ადგილი ამ ხატარა ხალმისთვისაც.

ისე მოხდა, რომ იმ ზამთარში ხალმა დაავადმყოფდა თითქმის ლენინთან ერთად. მის უზარმაზარ, სირაქლემის ფრთისმაგვარ ფოთლებს სიყვითლე შეეხარა.

ერთხელ ვლადიმერ ილიას-ძემ კაბინეტში იატაკზე ჩამოვარდნილი ყვითელი ფოთოლი ნახა.

ლენინი აღელდა. მან სთხოვა თავის ამხანაგსა და მდივანს ლიდია ალექსანდრეს ასულ ფოტიევას, სასწრაფოდ მოეძებნა ხალმისათვის ტყის მკურნალი. მართლაც, ჩქარა მოძებნეს მოსკოვში ასეთი ექიმი: ბოტანიკური ბაღიდან

კრემლში ლენინთან მივიდა მოხუცი გამოცდილი მებაღე. მებაღე შეუდგა ავადმყოფი ჰალმის გასინჯვას, ლენინი კი იჯდა და თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას.

ამ დროს თვით ლენინთანაც მივიდა ნამდვილი ექიმი.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა მოითმინოთ,—ღიმილით მიმართა მას

ლენინმა,—იცით რა, დღეს აქ ორი ავადმყოფია და ექიმის მიდება რიგის მიხედვით ხდება.

მებაღე ჩქარა მორჩა გასინჯვას. მან უთხრა ვლადიმერ ილიას-ძეს, რომ ჰალმას ისეთი არაფერი სჭირს, საჭიროა მხოლოდ ფესვების გასუფთავება, ახალ მიწაში გადარგვა და ჰალმაც გამოჯანცოცხლდებაო.

— მადლობას მოგახსენებთ,— მიუგო ლენინმა და მებაღეს ხელი ჩამოართვა,— თქვენ ამბობთ, მიწა გამოიცვალოს? კეთილი.

შემდეგ მიუბრუნდა თავის ექიმს და ჩუმად, ოდნავ სევდიანად უთხრა:

— ხედავთ, რა იოლია ხეების განკურნვა!

თარგმანი **ნ. ჩაჩავასი**



ყინულების ქვეყანაში

რ. ქეგულაძე

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

დადგა გაზაფხული და მალე დაბრუნდება ანტარქტიკიდან ჩვენი დიდი და ლამაზი გემი „სლავა“.

რა უნდოდა იქ ჩვენს გემს და ან რა ქვეყანაა ანტარქტიკა?

ის ძალიან შორს, სამხრეთ პოლუსთან მდებარეობს. ირგვლივ ოკეანეები არტყია, სადაც უზარმაზარი, ჩვენი მყინვარწვერისოდენა ყინულის მთები დაცურავს. მისი მიწა თეთრი ყინულებითაა დაფარული, რომელიც არასოდეს არა დნება. ამიტომ ამ ქვეყანაში არავინ ცხოვრობს. როცა ჩვენთან ზამთარი დადგება, იქ გაზაფხულია ხოლმე. მაგრამ იქაური გაზაფხული ჩვენსას როდი ჰგავს! იქ არც ბალახი ბიბინებს და არც ხეები ჰყვავის. მაშ, რად ეძახიან გაზაფხულს? იმიტომ, რომ ზამთართან შედარებით ნაკლები სიცივეა და ძლიერი ქარიშხალიც აღარ ბობოქრობს.

ბევრ საინტერესოს ნახავს ანტარქტიკის გზაზე ადამიანი.

აგერ ზღვის სპილოებს ამოუყვიათ წყლიდან თავი, ყინულის მთაზე ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულან თეთრგულა ფრინველები—პინგვინები და რიგრიგობით მიცურავენ წყალში საბანაოდ. სანამ პირველი რიგი ბანაობას არ მოათავებს, დანარჩენებს ჩასვლის ნება არა აქვთ. აი, რაღაც ბულბულივით სტვენს! რა უნდა ამ ცივ ქვეყანაში ბულბულს? არა, ეს ბულბული კი არა, მთაა, რომელსაც ისეთი მოყვანილობა აქვს, რომ ქარის წამობერვაზე ბულბულივით რაკრაკებს და ამიტომაც ბულბულა მთას ეძახიან.

ზღვის ლეოპარდები

ანტარქტიკაში ყველაზე საინტერესო სანახავს ვეშაპი წარმოადგენს. მთელს დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავთ ასეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვეებერთელა ცხოველს. როცა ის შორიდან გამოჩნდება, ასე გგონია, უზარმაზარი კუნძული მოცურავსო. ვეშაპი სიგრძით ხშირად 20 მეტრზე მეტია, თავი დიდი აქვს, ხოლო პირს რომ დააღებს, ერთი პატარა ნავი თავისუფლად შეცურდება შიგ. მიუხედავად ასეთი დიდი პირისა, ვეშაპს მოზრდილი ცხოველების გადაყლაპვა არ შეუძლია და პატარ-პატარა კიბოებზე ნადირობს ხოლმე.

ამ ზღვის დევებს ოკეანეში მარტოდმარტო იშვიათად ნახავთ. მათ ერთად უყვართ ცურვა და საჭმლის საშოვნელადაც ერთად დადიან. საკვირველი ის არის, რომ ვეშაპები მშვენივრად იმახსოვრებენ, სად იგემეს წინა წელს კიბოები, და კვლავ მიაკითხავენ ხოლმე იქაურობას.

ვეშაპებმა საოცარი მაგარი ძილი იციან. რამდენჯერ ყოფილა, რომ ნისლსა თუ ბნელ ღამეში გემი დასჯახებიათ და მათ კი ვერა უგრძნიათ რა.

იმ ადგილას, სადაც ვეშაპი გამოჩნდება, წყლის შადრევანი აისვეტება ხოლმე ჰაერში. საიდან გაჩნდა შადრევანი? ეს ვეშაპის მიერ ამოტყორცნილი ჰაერია, ვეშაპი ხომ ჰაერით სუნთქავს; შხუილით აჭრილი ჰაერი კი წყლის წვეთებსაც აიტაცებს ზევით.

ზღვის დევს განსაკუთრებული სმენა აქვს და, თუ ღვიძავს, კარგა მანძილზე ესმის ხმაური. ჰოდა, მონადირეები ჯერ გემის გუგუნს შეაჩვევენ მათ და მერე ესვრიან ჰარპუნს, — ასე უწოდებენ იმ იარაღს, რითაც ვეშაპებს ჰკლავენ.

მოცურავე ქარხანა

აი, სწორედ ამ ზღვის დევებზე სანადიროდ არის წასული ჩვენი გემი „სლავა“; მას თან სხვა პატარა გემებიც ახლავს, რომელთაც ჩვენმა ხალხმა სიყვარულით „სლავას შვილები“ დაარქვა.

რატომ ნადირობენ ვეშაპებზე? ვეშაპების ქონი ძლიერ ძვირფასია და აუცილებელი ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკებისათვის. გარდა ამისა, ეს ზღვის დევი საუკეთესო სამკურნალო წამლებს იძლევა. მაგრამ რომელ გემზე დაეტევა ასობით და ათასობით მოკლული უზარმაზარი ვეშაპი? ამიტომაც გემი „სლავა“



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცურავე ქარხანადაა გადაქცეული. ქონს იქვე ადნობენ და უზარმაზარ კასრებში ასხამენ. მერე სხვა პატარა გემები მოადგება მოცურავე ქარხანას, ამ ქონს იქ გადაიტანენ და ჩვენს ქვეყანაში აგზავნიან.

ძლიერ საინტერესოა ვეშაპებზე მონადირეების მოსმენა. რა საოცარ ამბებს არ გვიამბობენ ისინი! აბა, ყური დაუგდეთ!

მზაკვარი „თომა“

წინათ მეტად ძნელი და სახიფათო იყო ვეშაპებზე ნადირობა. მაშინ არ იყო ასეთი დიდი სანადირო გემები. მონადირეებს ხის პატარა ხომალდებითა და ნავებით უხდებოდათ ნადირობა. განსაკუთრებით საშიში დიდთავა ვეშაპები—ბრაზიანი კაშალოტები იყო. არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა კაშალოტები ხომალდსა თუ ნავს დასტაკებიან და მეზღვაურებიანად ჩაუძირავთ.

წინათ ცნობილი იყო რამდენიმე მძვინვარე კაშალოტი, მათ სახელებიც კი დაარქვეს იმ ადგილების მიხედვით, სადაც უფრო ხშირად გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

ერთი ასეთი კაშალოტი „პაიტ-თომა“ გახლდათ. ვინ მოთვლის, რამდენი მამაცი მონადირე დაღუპულა მისი წყალობით. ამიტომ, მოჰკრავდნენ თუ არა თვალს, მეზღვაურები მყისვე გაეცლებოდნენ ხოლმე იქაურობას.

ერთხელ პატარა ხომალდი შემთხვევით გადაეყარა მას. კაპიტანმა აუკრძალა მეზღვაურებს მასზე განდირება. მაგრამ როცა კაპიტანი ნაპირზე გადავიდა, ერთმა მამაცმა მეზღვაურმა რამდენიმე ამხანაგი აიყოლია და უკან გამოედევნა თომას. ნიჩბების თქაფანი რომ მოესმა, თომა მობრუნდა და ნავისაკენ გაექანა. მაშინ მამაცმა მეზღვაურმა ვეშაპს ცარიელი კასრი გადაუგდო. ალბათ ესაა ჩემი მტერიო,—და ვეშაპი გაცოფებით დაეძგერა კასრს. მეზღვაურებმაც დრო იხელთეს და მყისვე სული გააფრთხობინეს. როცა გაჭრეს, ხახაში ძველი, დაჟანგული ჰარპუნის ნატეხი უპოვეს, რომელსაც ერთ-ერთი, მის მიერ დაღუპული ხომალდის სახელი ეწერა.

ზღვის ყაჩაღები

აი, ოკეანეში სიწყნარეა. ლომთევზათა ქარავანი მშვიდად მიემართება თავის გზაზე. უცბად ლომთევზები ნაპირისაკენ დაიძრნენ. რა მოხდა, რა ამბავია? წყლის ზედაპირზე რაღაც შავი ნამგლები აიმართა. ეს ნამგალა ვეშაპებია, რომელთა ფარფლები ნამგლებს მიაგავს და ნამგალასაც ამიტომ უწოდებენ მაგრამ მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სახელებიც აქვთ. მონადირეებმა „ზღვის ყაჩაღები“ და „ზღვის ვეფხვებიც“ შეარქვეს.

ნამგალა საოცრად ლომუცელა და დაუნდობელი ვეშაპია. ჰოდა, ამიტომაც შეეშინდათ ლომთევზებს და ნაპირისაკენ გაქანდნენ. რამდენიმე ნამგალა ვეშაპი მყისვე უკან დაედევნა. ამ სურათს ჩვენი სანადირო გემი უყურებდა. მეზღვაურებს შეეცოდათ უწყინარი ლომთევზები და სროლა აუტეხეს ყაჩაღებს. ონავრები გაიფანტნენ. ჩვენი გემი კი უკან გაჰყვა ლომთევზებს და სამშვიდობოს გააცილა.

მხიარული სელაპები

უზარმაზარ ყინულის მთაზე უცნაური ცხოველები გაწოლილან და კანი მზეზე ხვეერდივით უბრჭყვიალებთ. ესენი მხიარული სელაპები გახლავთ. ისინი მეტწილად ზღვაში ცხოვრობენ, გაზაფხულზე კი სხვადასხვა კუნძულისაკენ მიემართებიან, რათა შვილები დაზარდონ. მათ ძალიან ბევრი საქმე აქვთ. განა ხუმრობაა, პატარა სელაპებს ცურვა ასწავლო, შეაჩვიო ახალ გარემოს! მათ ხომ ძლიერ ეზარებათ ცივ წყალში ჩასვლა! მერე კი მშვენივრად დაცურავენ. როცა სელაპი სწრაფად მიცურავს, მას ვერც ერთი გემი ვერ დაეწევა. ხმელეთზე კი მეტად უპირთ სიარული.

ზოგიერთ ზოოლოგიურ ბაღში ბევრი სელაპი ჰყავთ. უნდა ნახოთ, რა ყოფას ატეხენ, როცა მათი ჰამის დრო დადგება. მოზრდილები ჩახლეჩილი ხმით ყეფენ, პატარები ბატკნებივით ბღავიან, მათ უყვართ თავიანთი მომვლელი და, თავი რომ მოაწონონ, ყირაზე გადადიან. ხტუნაობენ და ანცობენ.

მათი მოთვინიერება მეტად ადვილი საქმეა. სელაპებს უყვართ მუსიკა. ცხოველების განთქმულ მომთვინიერებელს დუროვს ჰყავდა ორი სელაპი. ისინი მშვენივრად თამაშობდნენ ბურთს, და ბავშვებიც ყველაზე მეტი სიხარულით ამ „ჰკვიანი“ სელაპების გამოსვლას ელოდნენ ხოლმე ცირკში.

* * *

ასეთი ამბები ხდება იმ შორეულსა და ცივ ქვეყანაში, რომელსაც ანტარქტიკა ჰქვია. ჰოდა, როდესაც ჩვენი მამაცი მონადირეები სამშობლოში დაბრუნდებიან, ბევრ სხვა ახალ, საინტერესო ამბავს მოგვიყვებიან.

მალე დაბრუნდით, ჩვენო მამაცო მეზღვაურებო!



სალამი აპრილს!

მ. ლებანიძე

ხეხილი ჰყვავის,
მერცხალი დაქრის,
ბოჩოლა ბლავის...
სალამი
აპრილს!

გამდნარა თოვლი,
გამთბარა ტოტი...
აპრილი
მოდის!

ბზუის ფუტკარი —
ოსტატი თაფლის...
სალამი
აპრილს!

ნაბატი ზ. ლეჟავა

ნუშის და ტყემლის,
მუხის და წაბლის
იღვიძებს ტევრი...
სალამი
აპრილს!

ჭრელი მინდორი
ჰაჰელას დაღლის...
სალამი
აპრილს!

ტრაქტორი გუგუნებს,
გუგული დაქრის...
სალამი გუგულებს!
სალამი
აპრილს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახტომელა

თ. ჩხაიძე

ნახატი გ. თოთიბაძისა

სახტომელა თოკი იყო, ლურჯ-წითლად დაგრეხილი. ორი სახელური ჰქონდა ხისაგან გამოთლილი. სახელურებს თუ ერთმანეთს მიარტყამდით, კაკ-კუკ! — გაჰქონდათ. ბატრონიც ჰყავდა, შავთვალწარბა თიკო, რომელსაც ძლიერ უყვარდა თოკი და ვერ ელეოდა.

— წკაჰ, წკაჰ! — ტრიალებდა თოკი.

— ხუთი, ერთი, სამი, ექვსი! — სტოდა თიკო და ითვლიდა.

— იუ, რა დამთვლელი ხარ! — აჯავრებდა თიკოს ნიკო. თიკო კი თავის სახტომელას არ აცდენდა, — სტუნვა-ხტუნვით უვლიდა ეზოს: ხან ასკინკილით, ხან გარბენით, ხან ერთ ადგილზე შეხტომით.

იმ დღეს დიდედა ბოსტანში ბადრიჯანს რგავდა: რიგ-რიგად და მწკრივ-მწკრივად. სახტომელაც იქ იყო. იქვე იდგა თიკოც. დიდედა თან ბადრიჯანს რგავდა და თან თიკოს ტუქსავდა:

— სკუჰ-სკუჰელავ, რად ამედევნე, ფეხებში რად მედები?

— ფეხებში რომ გაგებლანდო, განა ფისო ვარ? — იცინოდა თიკო.

დიდედა ბადრიჯანს რგავდა, თან ჯავრობდა:

— აქ რა უნდა სახტომელას! თუ

კვლებშორის სტუნაობა წამოიწყო, მაგ სახტომელათიგე მიგაბაძ ხეზე.

— ბებიო, ხეზე რომ მიმაბა, განა თიკანი ვარ!

— თავი დამანებე, ნუ მიშლი! — გაწყვეტინა დიდედამ.

— განა გიშლი, უნდა გიშველო!— მიუგო თიკომ თავაზიანად.

— მიშველო? ამას დამიხედეთ, ერთი შენა ხარ მშველელი და მეორე შენი სახტომელა! — კიდევ უნდოდა რადაც ეთქვა დიდედას, მაგრამ უცებ წამოიმახა:

— უი, დამიდგეს თვალები, მწკრივები რა განდაგან გამირბიან!

და ვინ იცის, როგორ წასულიყო საქმე, იქნებ თიკოს და მის სახტომელას დაბრალებოდათ ეს ამბავი, რომ სწორედ აქ არ ესახელა თავი თიკოს.

— აი, ასე, დიდედა! — თქვა და ორი სახელური კვალის თავსა და ბოლოს ჩასასო, სწორედ ისე, როგორც გუშინ ნიკომ ასწავლა. დაიწყიმა თოკი ლურჯწითელ ხაზად, თიკო კი მის გასწვრივ ჩითილებს აწყობდა და თან ითვლიდა:

— ხუთი, ერთი, სამი, ექვსი!—და თან დიდედას დარგულებს წვალს უსხამდა: შხამ-შხუმ-შხამ!

ასე ნელ-ნელა, ადგილის გადანაცვლებით, ბევრი კვალი მოიარა სახტომელამ.

ჩამწკრივდნენ მწკრივ-მწკრივად ბადრიჯნები. მორჩნენ მუშაობას დიდედა და შვილიშვილი და ხელები დაიბანეს.

მერე დიდედამ თიკოს სახტომელასაც სასელურები გაუკრიალა.

— კაკ-კუკ! — გაუსარდათ სასელურებს და ერთმანეთს მიუკაკუნეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერქანი

მ. კვირიკაძე

ნახატები ო. ჯიშკარიანისა
და ლ. ლუნდუასი

გარეთ გამოდით, ბიჭებო,
გამოდით, ერქანს განახვებთ,
ეზოში დაგელოდებით,
უთქვენოდ ხელსაც არ ვასლებთ.
მერე ნელ-ნელა ავუშვათ,
ქარი რომ არის, კარგია.
გრძელი კუდი აქვს, ჭრელტანა,
გველივით დაუკლაკნია.

აბა, რა მაღლა ავიდა,
ვერც კი შეამჩნევთ ადვილად,
სისწრაფით ჩიტსაც გაუსწრებს
ჩემი ერქანი ნამდვილად.
აბა, უეურეთ, ბიჭებო,
არა ვარ კარგი ოსტატი?
მიფრინავს, როგორც ნამდვილი
ჰატარა აეროსტატი!

ბატკანი

ვ. გორგანელი

მიდის და მოდის ბაკუნით,
თოვლივით თეთრი, თამამი..
ჩვენი ჰატარა ბატკანი
მოუსვენარი რამ არი!
როცა დახტუნავს კარავთან,
ნეტავი მაშინ განახვათ.
რძე არის მისი საკვები,
ჯერ არ მიირთქვეს ბალახსა.
ძისი ხტუნვა და ბაკუნი
ჰატარა ლეკვებს აშინებს.
ჩვენი ბატკანი რომ ნახოთ,
თავს შეგაუვარებთ მაშინვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯადოსნური ფუნჯი

ჩინური ზღაპარი

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი პატარა ბიჭი, სახელად მა ლიანი. მშობლები ადრე გარდაეცვალა. ის აგროვებდა ფიჩხს, ბალახბულახს და ამით ირჩენდა თავს. მა ლიანი ჭკვიანი ბიჭი იყო. ბავშვობიდანვე უყვარდა ხატვა, მაგრამ ღარიბ-ღატაკს, აბა, ფუნჯის ყიდვა სად შეეძლო!

ამიტომ გადაწყვიტა, თვითონ ესწავლა ხატვა. ფიჩხის შეგროვებისას ქვიშაზე ტოტით ხატავდა მფრინავ ჩიტებს; ზღვის პირას თუ იყო, თითს ისველებდა წყალში და ქვიშაზე თევზებს ხატავდა.

ასე გადიოდა წლები. ერთ საღამოს დაღლილი მა ლიანი ჭილობზე წამოწვა და მაშინვე ჩაეძინა. უცებ თავზე თეთრწვერა მოხუცი წამოადგა.

— ეს ჯადოსნური ფუნჯია, ამით ხატე. — უთხრა მოხუცმა და ფუნჯი გაუწოდა.

მა ლიანმა ოქროსფრად მბრწყინავ ფუნჯს დახედა და ფეხზე წამოხტა:

— გმადლობ, ბაბუა...

ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ თეთრწვერა მოხუცი გაქრა. მა ლიანს გამოეღვიძა. დიახ, ეს სიზმარი იყო, მაგრამ მთლად არა: ხელში მას ჯადოსნური ფუნჯი ეჭირა.

ამ ფუნჯით მა ლიანმა დახატა ჩიტი, რომელმაც მაშინვე გაშალა ფრთები და ჭიკჭიკით აფრინდა ცაში; დახატა თევზი, რომელმაც მოიქნია კუდი და წყალში შეცურდა.

ამის შემდეგ ვისაც გუთანი არ ჰქონდა, მა ლიანი გუთანს უხატავდა; ვისაც თოხი უჭირდა, თოხს უხატავდა და ღარიბებს ასე შველოდა.

მაგრამ არ არის ისეთი წნული, რომელშიც ქარს არ გაევლოს. მა ლიანის ჯადოსნური ფუნჯის ამბავი ბატონის ყურამდეც მივიდა და მან თავის მხლებლებს ბიჭის მოყვანა უბრძანა.

ბატონი ხან აშინებდა, ხან ეფერებოდა მა ლიანს, — ხატვას თავი დაანებეო, მაგრამ არაფერი გაუვიდა და ბრძანა, მა ლიანი საჯირინიბოში ჩაეგდოთ.

გავიდა სამი დღე. ერთ საღამოს დიდი თოვლი მოვიდა. ბატონმა იფიქრა:

ბატონი და მხლებლები შეცვივდნენ საჯინიბოში, მაგრამ რა ნახეს! ბიჭუნა კედელზე მიდგმული კიბით სულ მაღლა და მაღლა ადიოდა. ბატონი კიბეს მივარდა, მაგრამ ვერც კი მოასწრო ზედ ასვლა, რომ ძირს ჩამოვარდა და კიბეც გაქრა.

მა ლიანს თავის სოფელში აღარ ედგომებოდა. ამიტომ გადაწყვიტა სხვაგან წასულიყო. ჯადოსნური ფუნჯით ცხენი დახატა, ზედ შეხტა და გაქუსლა.

ცოტა რომ გაიარა, ცხენების თქარა-თქური შემოესმა. მიიხედა და რაშზე მჯდარი ბატონი და მხლებლები დაინახა.

მა ლიანმა აუჩქარებლივ დახატა მშვილდი და ისარი. როგორც კი ისარი მშვილდს შეეხო, გაისმა ზუზუნი და ბატონი ცხენიდან ჩამოვარდა. მა ლიანმა რამდენჯერმე გადაჰკრა თავის ცხენს მათრახი და ცხენიც ჩიტივით გაფრინდა.

ბოლოს მა ლიანმა ერთ პატარა ქალაქში ამოჰყო თავი. ხატავდა სურათებს და ქუჩა-ქუჩა ყიდდა. მა ლიანს ეშინოდა, ვაითუ ნახატები გაცოცხლდნენ და ამით მიცნონო; ამიტომ ჩიტებს ხან მოკლე ნისკარტს უხატავდა, ხან კი მოკლე ფეხებს.

ერთხელ მა ლიანმა ყარყატი დახატა, თვალი კი არ გაუკეთა. შემთხვევით შავი მელნის წვეთი დაეცა თვალის ადგილას. ცალთვალა ყარყატმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა. ამ ამბავმა მთელი ქალაქი ააფორიაქა და იმპერატორის ყურამდე მიაღწია. იმპერატორმა მოხელეები გაგზავნა მა ლიანის ძალით მოსაყვანად.

მა ლიანს იმპერატორის შესახებ ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი. იცოდა, როგორ ატყუებდა ის ღარიბ ხალხს. ამიტომ გულმოსულმა გაიფიქრა: ნახავს, რასაც დავუხატავო!

როცა იმპერატორმა მა ლიანს გველეშაპის დახატვა უბრძანა, მან გომბეშო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახატა; ფასკუნჯის დახატვა რომ უბრძანა, ჭირიანი ქათამი დახატა. აბა, ვის ეამებოდა გომბეშო და ასეთი ქათამი? მათ იმპერატორის გარშემო ხტუნვა დაიწყეს და თან ისეთი საშინელი სუნი აუშვეს, რომ სასახლეში გაჩერება აღარ შეიძლებოდა. გაბრაზებულმა იმპერატორმა მა ლიანს ჯადოსნური ფუნჯი წაართვა და ციხეში ჩასვა.

ჩაიგდო თუ არა ფუნჯი ხელში, იმპერატორმა თვითონ დაიწყო ხატვა. პირველად ერთი ოქროს მთა დახატა. გაუმაძღარმა იმპერატორმა კიდევ რამდენიმე ოქროს მთა მიუმატა, მაგრამ განა ეს ოქროს მთები იყო? ეს დიდი ქვების გროვა გახლდათ. ერთი ქვა მაღლიდან მოწყდა და იმპერატორს პირდაპირ ფეხზე დაეცა.

„რადგან ოქროს მთები არ გამოდის,—გაიფიქრა ხარბმა იმპერატორმა,— მაშინ ოქროს აგურებს დავხატავ!“ მაგრამ აგურები უცებ უზარმაზარ მახრჩობელა გველად იქცა და, მხლებლები რომ არ მიშველებოდნენ, შეშინებულ იმპერატორს გველი გადაყლაპავდა.

იმპერატორს სხვა გზა არ ჰქონდა, მა ლიანი გაანთავისუფლა და ჯადოსნური ფუნჯი დაუბრუნა. მერე უბრძანა, წყალი დახატეო. მა ლიანმა ფუნჯი დაიქნია და იმპერატორის წინაშე თვალუწვდენელი ზღვა გადაიჭიმა.

— რატომ არ არის ზღვაში თევზები? — ჰკითხა იმპერატორმა.

მა ლიანმა კვლავ დაიქნია ჯადოსნური ფუნჯი და სხვადასხვაფერი თევზები კუდებს ქნევით შეცვივდნენ ზღვაში.

იმპერატორს უფრო მეტად გაუხარდა და აჩქარებით უთხრა მა ლიანს:

— სწრაფად დახატე ხომალდი! ზღვაზე მინდა გავისეირნო.

მა ლიანმა დახატა ხომალდი. იმპერატორი თავისი ამალით ხომალდზე ავიდა. შემდეგ მა ლიანმა დახატა ქარი, რომელმაც ტალღები წამოქოჩრა და ხომალდი ზღვაში შეაცურა.

იმპერატორს არ მოეწონა, რომ ხომალდი ნელა მიცურავდა, და დაიყვირა: „მოუმატე ქარს! მოუმატე ქარს!“

მა ლიანმა უფრო ძლიერად მოუსვა ფუნჯი, ქარმა დაუბერა, ზღვა აღელდა, იალქნები გაიშალა და ხომალდი შუა ზღვაში გავიდა. ქარი თანდათან გაძლიერდა და გემი გვერდზე გადახარა.

— ეყოფა ქარი! — ყვიროდა იმპერატორი, მაგრამ ქარი უკვე თავისთავად ძლიერდებოდა. საიდანღაც შავი ნისლი წამოვიდა და მთელი ზღვა დაფარა.

ტალღებმა ხომალდი გადააბრუნა, იმპერატორი და მისი ამალა ზღვის ფსკერისაკენ წავიდნენ.

ამის შემდეგ გაჩნდა ზღაპარი მა ლიანისა და ჯადოსნური ფუნჯის შესახებ. მაგრამ თვით მა ლიანი სადწავიდა, არავინ იცის. ამბობენ, რომ თავის სოფელში დაბრუნდა და იქ ცხოვრობსო. იმასაც ამბობენ, სხვადასხვა ქვეყნებში დადის და, ღარიბებს რაც აკლიათ, იმას უხატავსო.

თარგმანი ნ. ოფჩაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერადი ფანქრები

ზ. შერაზადიშვილი

დარეჯანმა გამაჯავრა,— დამიძახა „ცეროდენა", დამაცადოს, გავიზარდო, არვინ იქნეს ჩემოდენა.



ბიჭო, ამირან, კიჭები პატარასა და უკბილოს განა იმიტომ ამოგდის, რომ შენს დაიკოს

უკბინო?

ნ. კანდელაკი

— გურამ, შენ გაქვს ათი ვაშლი, მე მხოლოდ ექვსი. რამდენი ვაშლი უნდა დამიმატო, რომ ორივეს თანაბრად გვქონდეს? — ჰკითხა უფროსმა ძმამ უმცროსს.

— მერე და სად არის ვაშლები? — შეაწყვეტინა გურამმა.

— ეს მაკლითისთვის მოვიგონე, ისე, ტეუილად! აბა, დაფიქრდი და გამოიცანი!

— ჯერ დავფიქრდები, — თავი გაიქნია გურამმა. — ხომ იცი, რომ დედას არ უყვარს ტეუილი, გაკვეკავს და გაჯავრდება.

ნ. ელანიძე

დედამ ნანული კვირა დღეს ზოოპარკში წაიყვანა. მან იქ მრავალი ცხოველი ნახა, განსაკუთრებით კი ჭილო მოეწონა.

გზაზე დედამ ნანულის დიდი სათამაშო სპილო უყიდა. შინ რომ ბრუნდებოდნენ, ალმართზე გოგონა ძირს ჩამოსვა და უთხრა:

— მძიმე ხარ, შვილო, დავიღალე. შეხედე, რამდენი რამე მომაქვს, ცოტა ხანს ფეხით იარე.

— არა, დედიკო, მეც დავიღალე, მეც ხომ სპილო მომაქვს! — გაჯიუტდა ნანული.

მაგრამ ბოლოს დაუჯერა დედას, სპილო ორივე ხელით ჩაბღუჯა და ბაჯბაჯით შეუდგა ალმართს...

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ნანული შეჩერდა, სპილო ძირს ჩამოსვა, თითი დაუქნია და უთხრა:

— მძიმე ხარ, ცოტა ხანს ფეხით იარე, შეხედე, მე თვითონაც ველარ მოვდივარ, დავიღალე.

დედას გაეცინა, შვილი ისევ ხელში აიყვანა და გზა განაგრძო.

6.93/52

„ყვავილები“
ნახატი
ვაჟა ყველაიძისა
(7 წლის. თბილისი)



„გემი“
ნახატი
ედიშერ მიქაძისა
(6 წ. თბილისი)

„გოგონა ბურთით“ (პლასტილინი)
და „ზამთარი“ (ნახატი) მარიკო
ზამფულაშვილისა (8 წ. გორი)

ყდის მხატვრობა ეკუთვნის რ. ცუცქირიძეს

რედაქტორი იოსებ ნონიშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაკვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სახარულიძე, ნ. უნაფკოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამოცემის ოცდამეცხრე წელი ფასი 2 მან.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 4, апрель 1956 г. Тбилиси, Ленина 14.

საბლიტბამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 8-37-38 გამომც. შეკვ. № 156 ტირაჟის შეკვ. № 1301313 ტირაჟი 15 000. უე 00675 ხელმოწერილია დასაბეჭდად 16-III-56 წ. ტექსტი ანუბანილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ქერნალი დაბეჭდილია ფერადი ბეჭვერს სტამბაში. მარკანიშვილის 5.